# გორის მუნიციპალიტეტის

# საკრებულო

## განკარგულება № 94

2020 წლის 10 ივლისი
ქ.გორი

**გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების 2019 წლის ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე შესრულებული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების 2019 წლის ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე შესრულებული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების 2019 წლის ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე შესრულებული საქმიანობის ანგარიშის ანგარიში (დანართი თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე — დავით რაზმაძე

GORI MUNICIPALITY ASSEMBLY
გორი
218086087

ანგარიში

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში (2019 ივნისიდან 2020 წლის ივნისამდე) გორის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის , სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების მიერ შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილებაში შემოსული განცხადებებიდან დადებითად გადაწყდა 1284 განცხადება, უარი ეთქვა 2 განმცხადებელს; მიმდინარეობს საქმისწარმოება 16 განცხადებასთან დაკავშირებით.

I კლასი - შეთანხმებულია 41 მშენებლობა, 9 სარეკლამო აბრა, საქმისწარმოებაშია 4 განცხადება.

II კლასი- გაცემულია 31 მშენებლობის ნებართვა, საქმისწარმოებაშია 12 განცხადება

III -კლასი-გაცემულია 8 მშენებლობის ნებართვა

IV- კლასი - გაცემულია 3 მშენებლობის ნებართვა

ხაზოვანი ნაგებობები

I კლასი-შეთანხმებულია 325 ელ. გადამცემი ხაზის მშენებლობა, განხილვაშია 18

III კლასი-გაცემულია გაზსადენის მშენებლობის 10 ნებართვა, მიმდინარეობს საქმისწარმოება 4 გაზსადენთან დაკავშირებით შეთანხმებულია 45

-დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშ. გამოყენების პირობები 143,მიმდინარეობს საქმისწარმოება -26 განცხადებასთან დაკავშირებით (მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველი სტადია)

-მიღებულია პროექტის შეთანხმების შესახებ 113 გადაწყვეტილება, განხილვაშია 11 (მშენებლობის ნებართვის გაცემისმეორე სტადია)

-შეთანხმებულია მრავალბინიანი შენობების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების 32 საზღვარი, განხილვაშია 5

-მიწის ნაკვეთის დაყოფასთან დაკავშირებით 245 გადაწყდა დადებითად

-დაზუსტებულია მონაცემები დამისამართებასთან დაკავშირებით 37

- მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლით შემოსულია 118108,21 ლარი

გორის მუნიციპალიტეტის სივრცით მოწყობის

და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი

მოწყობის და არქიტექტურის

განყოფილების უფროსი გიორგი გოგინაშვილი